ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის საკრებულო

ნომერი: 12-032531844-03
თარიღი: 14.11.2025 21:01
ვადა: 15.12.2025

განმცხადებელი (დაინტერესებული პირი)

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
მისამართი: შარტავას ქ. 7ა
საკონტაქტო ინფორმაცია: (+995 32) 2 72 22 22;
განცხადების N: 01-01253182439 განცხადების თარიღი: 14.11.2025
ხელმომწერი: კახა კალაძე თანამდებობა: მერი

განცხადება/ნომენკლატურა

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
თავისუფალი განცხადება

მოთხოვნის ტექსტი

39-18 დადგენილებაში ცვლილება (საბაგირო დერეფნები)

დამატებითი ინფორმაცია

- ფურცლების რაოდენობა: 0
- დანართი: -
- პასუხის გაცემის ფორმა:

ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის საკრებულო
№ 12-032531844-03
14.11.2025 : 21:01
თბილისი, 0114, თავისუფლების მოედანი N2

წერილის ნომერი: **01-01253182439**
თარიღი: **14/11/2025**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: თავისუფლების მოედანი N2

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს,

ბატონ ზურაბ აბაშიძეს,

ბატონო ზურაბ,

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 73-ე მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დასამტკიცებლად წარმოგიდგენთ „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტს, რომელიც მოწონებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2025 წლის 12 ნოემბრის N25.1912.2153 განკარგულებით.

გთხოვთ, საკითხი განიხილოთ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგ სხდომაზე.

დანართი: 6 (ექვსი) ფურცელი.

1. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის მოწონების შესახებ'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2025 წლის 12 ნოემბრის N25.1912.2153 განკარგულება;

2. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;

3. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განმარტებითი ბარათი;

4. გრაფიკული დანართი - „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილი – რუკა“ (დანართი №1)

პატივისცემით,

კახა კალაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

განკარგულება - N 25.1912.2153
12 / ნოემბერი / 2025 წ.

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის მოწონების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 75-ე მუხლის „ბ.ა" და „ე.ბ" ქვეპუნქტების საფუძველზე,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ გადაწყვიტა:

1. მოწონებულ იქნეს „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი, ამ განკარგულების დანართის შესაბამისად.

2. ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული პროექტი წარედგინოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილეს (ვიცე - მერი) გიორგი ტყემალაძეს.

4. ამ განკარგულების გასაჩივრება, დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია მისთვის განკარგულების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი — კახა კალაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №

2025 წლის ----

ქ. თბილისი

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

შეტანილ იქნეს ცვლილება „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ” ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში (სსმ, ვებგვერდი: www.matsne.gov.ge, 15/03/2019, სარეგისტრაციო კოდი: 330090020.35.101.016587) და დადგენილების პირველი პუნქტით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილი – რუკა (დანართი N1) ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის

განმარტებითი ბარათი

ა) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (შემდგომში-პროექტი) მიღების (გამოცემის) მიზეზი და მისი ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები:

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებულ მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის ცვლილება განპირობებულია შემდეგი მიზეზებით:

თბილისის უნიკალური გეოგრაფიული მდებარეობა ხეობაში, სადაც მრავალი საცხოვრებელი უბანი მაღლობზეა გაშენებული, ურბანული საბაგირო გზების, როგორც ადამიანების საცხოვრებელი უბნებიდან საქმიან უბნებში გადაყვანის საშუალების განვითარებას და გამოყენებას უწყობს ხელს.

ქალაქს 1950-იანი წლებიდან აქვს საბაგირო გზების სისტემები, თუმცა ხაზების უმეტესობა აშენდა ტურისტული მიმართულებების ქალაქის ცენტრთან დასაკავშირებლად. დღესდღეობით სტრატეგიულად მიზანშეწონილია, რომ საბაგირო გზების სისტემები განვითარდეს, როგორც ურბანული სამგზავრო ტრანსპორტი.

თბილისის სატრანსპორტო გეგმის (SUMP) დოკუმენტმა განსაზღვრა ქალაქ თბილისის სატრანსპორტო და ურბანული განვითარების პოლიტიკისათვის მნიშვნელოვანი და აუცილებელი სხვადასხვა რეფორმის აღსრულების გზა, რომელიც შეესაბამება ქალაქის სატრანსპორტო და ურბანული კუთხით დასმულ მიმდინარე, აქტუალურ გამოწვევებს.

მათ შორის, თბილისის სატრანსპორტო გეგმის მიერ გამოვლენილია ურბანული საბაგიროების ექვსი დერეფანი. აქედან, მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილ - რუკაზე უკვე ასახულია 1: ისანი – ვაზისუბანი; 2: სარაჯიშვილი – ზღვისუბანი; 3; სამგორის საბაგიროს დერეფნები.

წარმოდგენილი ცვლილების ფარგლებში კი ხდება დამატებით 2 (ორი) პერსპექტიული საბაგირო დერეფნის ასახვა, ესენია:

- **ვაჟა-ფშაველა - ნუცუბიძის პლატო;**
- **სადგურის მოედანი – ვარკეთილი(ლოტკინი - მახათა- ჰუალინგი);**

ყველა ზემოაღნიშნულ მარშრუტზე არსებითია, რომ შემოთავაზებული სადგურებისთვის მიწის ნაკვეთები და მარშრუტის ხაზები დაცული იყოს ნებისმიერი მომავალი განაშენიანებისგან.

შესაბამისად, წარმოდგენილი პროექტით ცვლილება შედის „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილ - რუკაში **ვაჟა-ფშაველა - ნუცუბიძის პლატოსა და სადგურის მოედანი – ვარკეთილის (ლოტკინი - მახათა- ჰუალინგი) პერსპექტიული საბაგირო დერეფნების მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაში ასახვის მიზნით.**

ბ) პროექტის ფინანსურ–ეკონომიკური დასაბუთება:

პროექტის მიღება არ გამოიწვევს ბიუჯეტიდან აუცილებელი ხარჯების გამოყოფას, არ მოახდენს გავლენას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე.

გ) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე ზეგავლენის შეფასება, რასაც გამოიწვევს პროექტის მიღება (გამოცემა):

დადგენილების ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე.

დ) პროექტის ავტორ(ებ)ი:

პროექტის ავტორია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია.

ე) პროექტის წარმდგენი:

პროექტის წარმდგენია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი.

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის

განმარტებითი ბარათი

ა) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (შემდგომში-პროექტი) მიღების (გამოცემის) მიზეზი და მისი ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები:

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებულ მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის ცვლილება განპირობებულია შემდეგი მიზეზებით:

თბილისის უნიკალური გეოგრაფიული მდებარეობა ხეობაში, სადაც მრავალი საცხოვრებელი უბანი მაღლობზეა გაშენებული, ურბანული საბაგირო გზების, როგორც ადამიანების საცხოვრებელი უბნებიდან საქმიან უბნებში გადაყვანის საშუალების განვითარებას და გამოყენებას უწყობს ხელს.

ქალაქს 1950-იანი წლებიდან აქვს საბაგირო გზების სისტემები, თუმცა ხაზების უმეტესობა აშენდა ტურისტული მიმართულებების ქალაქის ცენტრთან დასაკავშირებლად. დღესდღეობით სტრატეგიულად მიზანშეწონილია, რომ საბაგირო გზების სისტემები განვითარდეს, როგორც ურბანული სამგზავრო ტრანსპორტი.

თბილისის სატრანსპორტო გეგმის (SUMP) დოკუმენტმა განსაზღვრა ქალაქ თბილისის სატრანსპორტო და ურბანული განვითარების პოლიტიკისათვის მნიშვნელოვანი და აუცილებელი სხვადასხვა რეფორმის აღსრულების გზა, რომელიც შეესაბამება ქალაქის სატრანსპორტო და ურბანული კუთხით დასმულ მიმდინარე, აქტუალურ გამოწვევებს.

მათ შორის, თბილისის სატრანსპორტო გეგმის მიერ გამოვლენილია ურბანული საბაგიროების ექვსი დერეფანი. აქედან, მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილ - რუკაზე უკვე ასახულია 1: ისანი – ვაზისუბანი; 2: სარაჯიშვილი – ზღვისუბანი; 3; სამგორის საბაგიროს დერეფნები. წარმოდგენილი ცვლილების ფარგლებში კი ხდება დამატებით 2 (ორი) პერსპექტიული საბაგირო დერეფნის ასახვა, ესენია:

- **ვაჟა-ფშაველა - ნუცუბიძის პლატო;**
- **სადგურის მოედანი – ვარკეთილი(ლოტკინი - მახათა- ჰუალინგი);**

ყველა ზემოაღნიშნულ მარშრუტზე არსებითია, რომ შემოთავაზებული სადგურებისთვის მიწის ნაკვეთები და მარშრუტის ხაზები დაცული იყოს ნებისმიერი მომავალი განაშენიანებისგან.

შესაბამისად, წარმოდგენილი პროექტით ცვლილება შედის „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილ - რუკაში **ვაჟა-ფშაველა - ნუცუბიძის პლატოსა და სადგურის მოედანი – ვარკეთილის (ლოტკინი - მახათა-ჰუალინგი) პერსპექტიული საბაგირო დერეფნების მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაში ასახვის მიზნით.**

ბ) პროექტის ფინანსურ–ეკონომიკური დასაბუთება:

პროექტის მიღება არ გამოიწვევს ბიუჯეტიდან აუცილებელი ხარჯების გამოყოფას, არ მოახდენს გავლენას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე.

გ) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე ზეგავლენის შეფასება, რასაც გამოიწვევს პროექტის მიღება (გამოცემა):

დადგენილების ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე.

დ) პროექტის ავტორ(ებ)ი:

პროექტის ავტორია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია.

ე) პროექტის წარმდგენი:

პროექტის წარმდგენია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი.

დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილი- რუკა (დანართი №1) მ. 1:10,000



საცხოვრებელი ზონა (სზ)	24,700,984	5.07 %
საცხოვრებელი ზონა 1 (სზ- 1)	31,733,733	6.52 %
საცხოვრებელი ზონა 2 (სზ- 2)	19,237,059	3.95 %
საცხოვრებელი ზონა 3 (სზ- 3)	7,273,462	1.49 %
საცხოვრებელი ზონა 4 (სზ- 4)	99,386	0.02 %
საცხოვრებელი ზონა 5 (სზ- 5)	3,225,128	0.66 %
საცხოვრებელი ზონა 6 (სზ- 6)	20,693,264	4.25 %
ღიმფეტეტერ სარეკრეაციო ზონა (ღსზ)	11,178,467	2.30 %
სამეგრო ზონა	139,030,027	28.55 %
რეკრეაციული ზონა	59,648,490	12.25 %
სოციალური ზონა 1 (სზ- 1)	11,686,709	2.40 %
სოციალური ზონა 2 (სზ- 2)	32,779,228	6.73 %
სოციალური ზონა 3 (სზ- 3)	3,937,554	0.81 %
სპეციალური ზონა 1 (სპეც- 1)	8,498,231	1.74 %
სპეციალური ზონა 2 (სპეც- 2)	7,675,997	1.58 %
სპეციალური ზონა 3 (სპეც- 3)	672,950	0.14 %
სამხედროო ზონა (სმზ)	439,149	0.09 %
სამრეწველო ზონა 1 (მ- 1)	22,148,786	4.55 %
სამრეწველო ზონა 2 (მ- 2)	802,882	0.16 %
სასოფლო სამეურნეო ზონა (სოფ)	29,170,786	5.99 %
საკურორტო ზონა 1 (კზ- 1)	29,281,369	6.01 %
საკურორტო ზონა 2 (კზ- 2)	5,731,824	1.18 %
სარეკREაციო-ბუნებრივი ზონა (სბზ)	2,164,785	0.44 %
სარეკREაციო-ბუნებრივი ზონა 1 (სბზ- 1)	4,423,376	0.91 %
სარეკREაციო-ბუნებრივი ზონა 2 (სბზ- 2)	9,802,947	2.01 %
სარეკREაციო-ბუნებრივი ზონა 3 (სბზ- 3)	1,005,056	0.21 %

თბილისი
ჯარგად შეჯავშირებული ქალაქი

მოცულეული მიდგომის ელემენტებთან ქალაქის სხვადასხვა ნაწილებში მირის ელემენტი კომერციის განმორაგულებს. ეს საქალაქო სივრცის კომპლექტური სიტყვის სახით მუშაობას აწყობს ხელს და ადგილებს ქალაქის ერთიან სივრცეს, რომელშიც ყოველ მოქალაქე და დროებით სტუმრის შეუძლია ამ საკეთილის გაზიარება, რომლებიც ერთმანეთ სარეკREაციო ნაწილებში და ახასიათებს.

მიდგომის ძირითად აქტიის წარმოადგენს ქალაქის საერთაშორისო სიტყვა. აქვე მნიშვნელოვანია ადრინდნის - საერთაშორისო სიტყვის არ ელოთებმის სეროვანელის, რომლის უპირველესი მიზანია აქტიფობლების მოტივაციული გადადგილების ხელშეწყობა. ეს არის სიტყვა, რომლის მიზანია ურბანულ ფაქტორებ ამ ადამიანის ერთი წერტილიდან მეორეში მიწილი დროულად და კომფორტულად.

ამისათვის მნიშვნელოვანია საფეხმავლო სივრცეებისა და ტროტუარების განვითარება, ინოსტიტიტიზირებულ საერთაშორისო სამეფოებების მოხმარებლის წასალოსება და ინფრასტრუქტურა მუნიციპიალური სიკეთეებ ინფრასტრუქტურის სიტყვების ჩამოყალიბება.

ასევე პრიორიტეტულად უნდა განიხილოდეს ქალაქში სამგზავრო დამოკიდებულები ურბანიზაციის ინტენსიფიკაციის ინფრასტრუქტურა ელექტრო ავტომობილი საერთაშორისო სამეფოებების ბოლოდროინდელი სიკეთეთ ინფრასტრუქტურის ინტენსიფიკაციის ინფრასტრუქტურა.

მედეგი ქალაქი

ურბანული ზედაფენა არის ინდივიდუალის, საზოგადოებების, ინსტიტუციების, ბიზნესების, სიტყვებისა და მთელისად ქალაქის უნარი გადაარჩეს, ადაპტირდეს და გაიზარდოს მოუხედავად ყველა შესაძლო სტრესისა და მოკლა.

შეუსაბამო გრგ

a) ვალდების ტბის მიმდებარედ: AR1447903.
b) ავარიული ენერგეტიკული ტკბილ. AR175026.
g) ვიმლოიეკარნი: AR1325405.
d) ყვანის ტბების ბოლამი AR1132585.

სარეკREაციო გრგ

a) დიდი დიღომი, AR1485536
b) ტბური სარეკREაციოდ დამაგალეთოთ AR1502504
g) ლოის ტბის მიმდებარედ AR1463392; AR11256142; AR1416691; AR1559635
d) ეროვნულიტეტის მცდელი კონტეინის რრეალიოდოთ AR1298657.
e) ამბოდოლის ზღვის მიმდებარედ AR1236313; AR164788. AR1415796.
z) კოლორი-მიწდოის მიმდებარედ AR1407243; AR1543663; AR1530779;
e) ერწანის რაინი AR1384036;
%) ნაგოლეკის ტბის მიმდებარედ AR1439989

ტკნიკური მახასიათებლები

რეკა „თბილისის მიწათსარგებლობის ეგენერალური გეგმა - ძირითადი ნაწილი" დამუშავებულია 1:10 000 მასშტაბში. ის მიწათსარგებლობისთვის ზონირების მეთოდებით ასახავს ზოგადად ეგენერალური მიდგომებს. რეკა შედგენილია 2017 წლის ორგანული მდგომარეობიდან გამომდინარე და გამარჯვებულ ფედერალურ ეგენერალური ტერიტორიული განვითარების მიმართულებებსა და ამოსავალ ტერმინ 2030 წლამდეა.

რეკის სიზუსტეც დამუშავებითი მასშტაბიდან გამომდინარე შეადგენს 5 კრიტე მეტრს, ხოლო გაზომვითი ანალიზისეული მინიმალური ფართი 1 ჰექტარს.

ადმინისტრაციულად საზღვრებში ქალაქის საერთო საფარარში ფართი შეადგენს 503 კვ.კმ.-ს, აქედან 164 კვ.მ. დიფერენციალ გამაშენებლებით ხოლო, 349 კვ.კმ. უპირატესად ღიმფეტეტერი სახით ანის შეინარჩუნებული (ნოფლებისა და ეკოლოგიების გამოკლებით).

ინფორმაციული აღნიშვნები

ზონირება

ეროვნებრივი ფენებიდან ზონირების ზონები - ტერიტორიის ზონირებისა გამოყენებლის ეროვნებრივი ინფორ, თუკი იქ გამოიყენებული მიწის ნაკვეთებისა ანდა ეფექტი ეროვნებრივ ინფორ ეფექტებ ინფორ ეფექტებ მინიმუმ 75% ეფექტებ ეროვნებრივ ინფორ ეფექტებ ინფორ ეფექტებ ინფორ ეფექტებ